სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 3/3504/93

ქ. თბილისი „25“ „~~[illegible]~~“ 2017 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები
1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, მინისტრის დავით სერგეენკოს სახით და, მეორეს მხრივ შპს „ელსელემა“, შემდგომში "მიმწოდებელი" , მინდობილი პირი ლევანი მამასახლისის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება
2.1. შემსყიდველმა განახორციელა ელექტრონული ტენდერი (NAT170013564) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ,,სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სსიპ "საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ ფუნქციონირებისათვის სპეციალიზებული ფორმების შესყიდვაზე (CPV18100000) და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი 535806 (ხუთასოცდათხუთმეტი ათას რვაასექვსი) ლარად (შემდგომში ,,ხელშეკრულების ღირებულება“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები
3.1 მოსაწოდებელი საქონლის აღწერილობა და ღირებულება განისაზღვრება ელექტრონულ ტენდერში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტის დანართი #1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მოწოდების პირობები:

4.1. ვადები:
4.1.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად:
1. ზამთრის კომპლექტის მოწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 40 კალენდარული დღის განმავლობაში.
2. ზაფხულის კომპლექტის მოწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღის განმავლობაში.

<u>შენიშვნა:</u> ზამთრის კომპლექტი შედგება - 2559 ცალი ქურთუკი (სასწრაფოსი), 2559 ცალი დათბილური შარვალი (სასწრაფოსი), 251 ცალი ქურთუკი (რეფერალი), 251 ცალი დათბილური შარვალი (რეფერალი), 80 ცალი ქურთუკი (ადმინისტრაცია), 80 ცალი დათბილური შარვალი (ადმინისტრაცია) და 2890 ცალი მაისური ზამთრის.
ზაფხულის კომპლექტი შედგება - 2559 ცალი ჟილეტი (სასწრაფო), 251 ცალი ჟილეტი (რეფერალი), 80 ცალი ჟილეტი (ადმინისტრაცია), 2559 ცალი ზაფხულის შარვალი (სასწრაფო), 251 ცალი ზაფხულის შარვალი (რეფერალი), 80 ცალი ზაფხულის შარვალი (ადმინისტრაცია) და 2890 ცალი მაისური ზაფხულის.

4.2. ადგილი:
4.2.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი #117

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიხედვით, წინამდებარე ხელშეკრულების 16.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორების მიერ მომზადებული ინსპექტირების აქტისა და შედგენილი მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში;

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარი გადახდით, სახელშეკრულებო ღირებულების 100%, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ოდენობის საბანკო (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ბანკის მიერ გაცემული)/სადაზღვევო გარანტიის საფუძველზე, საბანკო (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ბანკის მიერ გაცემული)/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს ,,შემსყიდველისათვის“ საქონლის მოწოდება დროულად და ხარისხიანად;

7.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით;

7.1.3 დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.4. “შემსყიდველის“ მხრიდან წერილობითი შეტყობინების შემდეგ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა აანაზღაუროს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან/და საერთაშორისო ლაბორატორიის ექსპერტიზის ღირებულება.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

8. მხარეთა უფლება

8.1. ,,მიმწოდებელს‘‘ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. ,,შემსყიდველს‘‘ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მოწოდებული საქონლის ხარისხის და მოცულობის კონტროლი;

8.2.2 ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვეტილად ითვლება, აღნიშნულის შესახებ, მიმწოდებლისადმი გაგზავნილ წერილობით შეტყობინებაში მითითებული ვადიდან.

8.2.3. საქონლის მოწოდების ნებისმიერ ეტაპზე გააგზავნოს ნიმუში სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან საერთაშორისო ლაბორატორიის (SGS, INTERTEK) ექსპერტიზაზე, მოწოდებული საქონლის ტექნიკურ დოკუმენტაციასთან სრულ თავსებადობის დადგენის მიზნით, რომლის ხარჯს ხელშეკრულების 7.1.4 ქვეპუნქტის პუნქტის თანახმად ანაზღაურებს მიმწოდებელი.

9. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

9.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, აღნიშნულ ტენდერში გამოიყენება საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით, გარანტია ასევე

გამოიყენება ხელშეკრულების პირობების უზრუნველსაყოფად, რომელიც ძალაში უნდა იყოს ექვსი თვე, შესყიდვის ობიექტის მოწოდების თარიღიდან.
9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი დაუბრუნებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.
9.3. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნებს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.
9.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი არ დაუბრუნებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას და იმოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში.

10. ფორს-მაჟორი
10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა
12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.
12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს

დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

14.2. შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით.

14.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების 0,5 %-ის ოდენობით.

14.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

15.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

16. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

16.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი, სსიპ ,,საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის" დირექტორის მოადგილე - დავით ანთოშვილი და სსიპ ,,საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის" ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი - გოჩა აბულაძე.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

17.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 მაისის ჩათვლით.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (---- გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

18.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება - „მომწოდებელთან", ხოლო ორი - „შემსყიდველთან".

,,შემსყიდველი"
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. N144
სახელმწიფო ხაზინა
საინდიფიკაციო კოდი 211333957
ბ/კ TRESGE22 (220101222

დავით სერგეევი
მინისტრი

ვიზა: ი. ბიბილაშვილი

გ. კაკუშაძე

ი. აბრამიშვილი

ი. ქიტიაშვილი

მ. ტყეშელაშვილი

დ. ანთოშვილი

გ. აბულაძე

შემს.: ლ. სარია

,,მიმწოდებელი"
შპს "ელსელემა"
ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზ.64ა
საინდეფიკაციო კოდი №204438073
ს.ს. „ბანკი ქართუ"
ბ/კ №CRTUGE22
ანგ. №GE91CR0030086127583606

ლევანი [illegible]
მინდობილობით [illegible]

დ: ბართი N1
ფასების ცხრილი
პრეტენდენტის დასახელება შპს "ელსელემა"

საქონლის დასახელება, მოდელი	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	მწარმოებელი კომპანია	წარმოშობის ქვეყანა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	2	3	4	5	6	7
ქურთუკი (სასწრაფო)	(მოკლე, შესრულებული ორ ფერში კოკეტკით, ქურთუკი იკვრება პლასტმასის ელვა შესაკრავით (ტრაქტორი #8), სრულად გამოსახსნელი მათბუნებლით, მათბუნებელი იკვრება ელვა შესაკრავით (სპირალი#5), წინა კალთების ქვედა მხარეს – ორი გაჭრილი დახრილი ჯიბე 12-16 სმ (ზომის მიხედვით), პლასტმასის ელვა შესაკრავით (ტრაქტორი#5). მარცხენა კალთაზე ზედა მხარეს სარქველიანი ზედნადები ჯიბე, ჯიბეზე ამოქარგული შევრონი. კოკეტკის ქვედა ნაწილში, მარცხენა მხარეს, ფხრიწით ეკვრება ამოქარგული გვარის მაჩვენებელი, მარჯვენა მხარეს კი სამედიცინო პერსონალის სტატუსი. მკლავები ჩაკერებული გაფორმებული საცვეთებით, მარჯვენა მკლავის ზედა ნაწილში ვერტიკალურად გაჭრილი ჯიბე 10-14 სმ (ზომის მიხედვით) პლასტმასის ელვა შესაკრავით (ტრაქტორი#5). მარცხენა მკლავის ზედა ნაწილში ფხრიწზე დაკერებული ნაქარგი შევრონი. საყელო ჩაკერებული, დგარი, საყელოს უკანა ნაწილში კაპიუშონის ჩასაკეცი ჯიბე 30 სმ პლასტმასის ელვა შესაკრავით (სპირალი#5). ქურთუკის წელის არეში ირგვლივ და უკანა კალთაზე კოკეტკის ქვემოთ ეკერება 5სმ სიგანის მანათობელი ლენტი. მარცხენა წინა კალთის ქვედა ნაწილში და ზურგის ქვედა შუა ნაწილში აპლიკაცია ნაქარგით მაგრდება განსხვავებული ფერის წვრილი მანათობელი ლენტები. ზურგის მხარეს კოკეტკაზე ნაქარგი წარწერა – AMBULANCE,. კოკეტკის ქვემოთ ნაქარგი წარწერა _ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი. წყალგამტარობის დაცვის მიზნით ნაქარგებზე უკანა მხრიდან დაწებებული უნდა იყოს წებო ლენტი. ქურთუკში გამოკრულია მკლავიანი მოსახსნელი მათბუნებელი სინტაპონზე ორმხრივად დალიანდაგებული სარჩული, მათბუნებლის ფერი შესაბამისობაში უნდა იყოს საზედაპირე ქსოვილის ორიდან რომელიმე ფერთან. გამოყენებული მასალები _ საზედაპირე ქსოვილი 100% პოლიესტერი, სამშრიანი ჰაერ გამტარი და წყალ გაუმტარი მემბრანით, 1მ2 ქსოვილის წონა 220გრ (±15გრ). ქსოვილის მედეგობა რეცხვაზე და სინათლეზე არაკლებ 4. მათბუნებელის წონა 200-250 გრ.)	მწარმოებელი კომპანია შპს "ელსელემა"	წარმოშობის ქვეყანა "საქართველო"	2559	65	166335

დათბილული შარვალი (სასწრაფო)	(სწორი სტილის, გვერდითი გაჭრილი ჯიბეებით, ჩაკერებული სათავით, რომლის სიგანეა 5სმ (±0,5სმ), შარვლის სათავეზე დაკერებულია 5 ცალი კონტრიკი, თითოეული 3სმ-ის სიგანის. სათავის უკანა ნაწილში მარჯვენა და მარცხენა მხარეს ჩაკერებული რეზინით. შარვლის უკანა ნაწილში მარჯვენა და მარცხენა მხარეს ორი ზედნადები ჯიბე, შესაკრავით ფხრიწზე. შარვლის წინა შუა ნაწილში მუხლის ზემოთ, მარჯვენა და მარცხენა მხარეს დაკერებულია სარქველიანი ზედნადები ჯიბე, რომელიც იკვრება ფხრიწით. შარვალი იკვრება 18 სმ პლასტმასის ელვით (სპირალი #5) და ერთი პლასტმასის ღილით. შარვლის ტოტების ქვედა ნაწილში დაკერებულია ერთმანეთისგან 2 სმ-ით დაშორებული 5 სმ იგანის მანათობელი ორ რიგად, შარვლის უკანა ნაწილის კოკეტკაზე დახრილად აპლიკაცია ნაქარგით დამაგრებულია განსხვავებული ფერის მანათობლის წვრილი ლენტები. შარვალში გამოკერებულია სინტაპონი ცალმხრივად დალიანდაგებული სარჩულით. გამოყენებული მასალები _ საზედაპირე ქსოვილი 100% პოლიესტერი, სამშრიანი ჰაერ გამტარი და წყალ გაუმტარი მემბრანით, 1მ 2 ქსოვილის წონა 220გრ (±15გრ), ქსოვილის მედეგობა რეცხვაზე და სინათლეზე არაკლებ - 4. მათბუნებელი - ცალმხრივად დალიანდაგებული სინტაპონი, წონა არანაკლებ 180-210 გრ.)	მწარმოებელი კომპანია შპს "ელსელემა"	წარმოშობის ქვეყანა "საქართველო"	2559	35	89565
ქურთუკი (რეფერალი)	(მოკლე, შესრულებული ორ ფერში კოკეტკით, ქურთუკი იკვრება პლასტმასის ელვა შესაკრავით (ტრაქტორი #8), სრულად გამოსახსნელი მათბუნებლით, მათბუნებელი იკვრება ელვა შესაკრავით (სპირალი#5), წინა კალთების ქვედა მხარეს – ორი გაჭრილი დახრილი ჯიბე 12-16 სმ (ზომის მიხედვით) პლასტმასის ელვა შესაკრავით (ტრაქტორი#5). მარცხენა კალთაზე ზედა მხარეს სარქველიანი ზედნადები ჯიბე, ჯიბეზე ამოქარგული შევრონი. კოკეტკის ქვედა ნაწილში, მარცხენა მხარეს, ფხრიწით ეკვრება ამოქარგული გვარის მაჩვენებელი, მარჯვენა მხარეს კი სამედიცინო პერსონალის სტატუსი. მკლავები ჩაკერებული გაფორმებული საცვეთებით, მარჯვენა მკლავის ზედა ნაწილში ვერტიკალურად გაჭრილი ჯიბე 10-14 სმ (ზომის მიხედვით) პლასტმასის ელვა შესაკრავით (ტრაქტორი#5). მარცხენა მკლავის ზედა ნაწილში ფხრიწზე დაკერებული ნაქარგი შევრონი. საყელო ჩაკერებული, დგარი, საყელოს უკანა ნაწილში კაპიუშონის ჩასაკეცი ჯიბე 30 სმ პლასტმასის ელვა შესაკრავით (სპირალი#5). ქურთუკის წელის არეში, ირგვლივ და უკანა კალთაზე კოკეტკის ქვემოთ ეკერება 5 სმ სიგანის მანათობელი ლენტი. მარცხენა წინა კალთის ქვედა ნაწილში და ზურგის ქვედა შუა ნაწილში აპლიკაცია ნაქარგით მაგრდება განსხვავებული ფერის წვრილი მანათობელი ლენტები. ზურგის მხარეს კოკეტკაზე ნაქარგი წარწერა – AMBULANCE. კოკეტკის ქვემოთ ნაქარგი წარწერა _ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი. წყალგამტარობის დაცვის მიზნით ნაქარგებზე უკანა მხრიდან დაწებებული უნდა იყოს წებო ლენტი. ქურთუკში გამოკრულია მკლავიანი მოსახსნელი მათბუნებელი სინტაპონზე ორმხრივად დალიანდაგებული სარჩული, მათბუნებლის ფერი შესაბამისობაში უნდა იყოს საზედაპირე ქსოვილის ორიდან რომელიმე ფერთან. გამოყენებული მასალები _ საზედაპირე ქსოვილი 100% პოლიესტერი, სამშრიანი ჰაერ გამტარი და წყალ გაუმტარი მემბრანით, 1მ 2 ქსოვილის წონა 220გრ (±15გრ). ქსოვილის მედეგობა რეცხვაზე და სინათლეზე არაკლებ 4.მათბუნებელის წონა 200-250 გრ.)	მწარმოებელი კომპანია შპს "ელსელემა"	წარმოშობის ქვეყანა "საქართველო"	251	65	16315

დათბილული შარვალი (რეფერალი)	(სწორი სტილის, გვერდითი გაჭრილი ჯიბეებით, ჩაკერებული სათავით, რომლის სიგანეა 5 სმ (±0,5 სმ), შარვლის სათავეზე დაკერებულია 5 ცალი კონტრიკი, თითოეული 3 სმ-ის სიგანის. სათავის უკანა ნაწილში მარჯვენა და მარცხენა მხარეს ჩაკერებული რეზინით. შარვლის უკანა ნაწილში მარჯვენა და მარცხენა მხარეს ორი ზედნადები ჯიბე, შესაკრავით ფხრიწზე. შარვლის წინა შუა ნაწილში მუხლის ზემოთ, მარჯვენა და მარცხენა მხარეს დაკერებულია სარქველიანი ზედნადები ჯიბე, რომელიც იკვრება ფხრიწით. შარვალი იკვრება 18 სმ პლასტმასის ელვით (სპირალი #5) და ერთი პლასტმასის ღილით. შარვლის ტოტების ქვედა ნაწილში დაკერებულია ერთმანეთისგან 2 სმ-ით დაშორებული 5 სმ სიგანის მანათობელი ორ რიგად, შარვლის უკანა ნაწილის კოკეტკაზე დახრილად აპლიკაცია ნაქარგით დამაგრებულია განსხვავებული ფერის მანათობლის წვრილი ლენტები. შარვალში გამოკერებულია სინტაპონი ცალმხრივად დალიანდაგებული სარჩულით. გამოყენებული მასალები _ საზედაპირე ქსოვილი 100% პოლიესტერი, სამშრიანი ჰაერ გამტარი და წყალ გაუმტარი მემბრანით, 1მ 2 ქსოვილის წონა 220გრ (±15 გრ), ქსოვილის მედეგობა რეცხვაზე და სინათლეზე არაკლებ 4. მათბუნებელი - ცალმხრივად დალიანდაგებული სინტაპონი, წონა არანაკლებ 180-210 გრ.)	მწარმოებელი კომპანია შპს "ელსელემა"	წამოშობის ქვეყანა "საქართველო"	251	35	8785
ქურთუკი (ადმინისტრაცია)	(მოკლე, შესრულებული ერთ ფერში კოკეტკით, ქურთუკი იკვრება პლასტმასის ელვა შესაკრავით (ტრაქტორი #8), სრულად გამოსახსნელი მათბუნებლით, მათბუნებელი იკვრება ელვა შესაკრავით (სპირალი#5), წინა კალთების შუა ნაწილში ორი სწორად გაჭრილი ჯიბე 10-14 სმ (ზომის მიხედვით) ელვა შესაკრავით (ტრაქტორი#5), ქვედა მხარეს – ორი გაჭრილი დახრილი ჯიბე 12-16 სმ (ზომის მიხედვით) პლასტმასის ელვა შესაკრავით (ტრაქტორი#5). მარცხენა ზედა წინა ნაწილში ფხრიწით ეკვრება ამოქარგული გვარის მაჩვენებელი და ამოქარგული შევრონი. მკლავები ჩაკერებული გაფორმებული საცვეთებით, მარჯვენა მკლავის ზედა ნაწილში ვერტიკალურად გაჭრილი ჯიბე 15 სმ პლასტმასის ელვა შესაკრავით (ტრაქტორი#5). მარცხენა მკლავის ზედა ნაწილში ფხრიწზე დაკერებული ნაქარგი შევრონი. საყელო ჩაკერებული, დგარი, საყელოს უკანა ნაწილში კაპიუშონის ჩასაკეცი ჯიბე 30 სმ პლასტმასის ელვა შესაკრავით (სპირალი #5). ქურთუკის წელის არეში ირგვლივ და უკანა კალთაზე კოკეტკის ქვემოთ ეკერება 5 სმ სიგანის მანათობელი ლენტი. მარცხენა წინა კალთის ქვედა ნაწილში და ზურგის ქვედა შუა ნაწილში აპლიკაცია ნაქარგით მაგრდება განსხვავებული ფერის წვრილი მანათობელი ლენტები. ზურგის შუა ნაწილში ნაქარგი წარწერა _ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი. წყალგამტარობის დაცვის მიზნით ნაქარგზე უკანა მხრიდან დაწებებული უნდა იყოს წებო ლენტი. ქურთუკში გამოკერულია მკლავიანი მოსახსნელი მათბუნებელი სინტაპონწზე ორმხრივად დალიანდაგებული სარჩული, მათბუნებლის ფერი შესაბამისობაში უნდა იყოს საზედაპირე ქსოვილთან. გამოყენებული მასალები _ საზედაპირე ქსოვილი 100% პოლიესტერი, სამშრიანი ჰაერ გამტარი და წყალ გაუმტარი მემბრანით, 1მ 2 ქსოვილის წონა 220გრ (±15გრ). ქსოვილის მედეგობა რეცხვაზე და სინათლეზე არაკლებ 4. მათბუნებელის წონა 200-250 გრ.)	მწარმოებელი კომპანია შპს "ელსელემა"	წამოშობის ქვეყანა "საქართველო"	80	65	5200

დათბილული შარვალი (ადმინისტრაცია)	(სწორი სტილის, გვერდითი გაჭრილი ჯიბეებით, ჩაკერებული სათავით, რომლის სიგანეა 5სმ (±0,5სმ), შარვლის სათავეზე დაკერებულია 5 ცალი კონტრიკი, თითოეული 3 სმ-ის სიგანის. სათავის უკანა ნაწილში მარჯვენა და მარცხენა მხარეს ჩაკერებული რეზინით. შარვლის უკანა ნაწილში მარჯვენა და მარცხენა მხარეს ორი ზედნადები ჯიბე, შესაკრავით ფხრიწზე. შარვლის წინა შუა ნაწილში მუხლის ზემოთ, მარჯვენა და მარცხენა მხარეს დაკერებულია სარქველიანი ზედნადები ჯიბე, რომელიც იკვრება ფხრიწით. შარვალი იკვრება 18 სმ პლასტმასის ელვით (სპირალი #5) და ერთი პლასტმასის ღილით. შარვლის უკანა ნაწილის კოკეტკაზე დახრილად აპლიკაცია ნაქარგით დამაგრებულია განსხვავებული ფერის მანათობლის წვრილი ლენტები. შარვალში გამოკერებულია სინტაპონი ცალმხრივად დალიანდაგებული სარჩულით. გამოყენებული მასალები _ საზედაპირე ქსოვილი 100% პოლიესტერი, სამშრიანი ჰაერ გამტარი და წყალ გაუმტარი მემბრანით, 1მ 2 ქსოვილის წონა 220გრ (±15გრ), ქსოვილის მედეგობა რეცხვაზე და სინათლეზე არაკლებ 4. მათბუნებელი - ცალმხრივად დალიანდაგებული სინტაპონი, წონა არანაკლებ 180-210გრ.)	მწარმოებელი კომპანია შპს "ელსელემა"	წამოშობის ქვეყანა "საქართველო"	80	35	2800
ჟილეტი (სასწრაფო)	(შესრულებული ორი ფერის ქსოვილის კომბინაციით კოკეტკით, ელვა შესაკრავით, სამკუთხა ამოღებულობით,. მარჯვენა კალთის შუა ნაწილში ორი სარქველიანი ზედნადები მოცულობითი ჯიბე შესაკრავი ფხრიწით. მარცხენა მხარეს შუა ნაწილში ერთი ცალი ზედნადები სარქველიანი მოცულბითი ჯიბე, შესაკრავი ფხრიწით. მარჯვენა და მარცხენა კალთის ქვედა ნაწილში გაჭრილი ჯიბე 12-16 სმ (ზომის მიხედვით) პლასტმასის ელვა შესაკრავით (ტრაქტორი #5), ამავე ჯიბეებზე დაკერებულია ორი ზედნადები მოცულობითი ჯიბე სარქველით შესაკრავით ფხრიწზე. მარცხენა კალთის ზედა ნაწილში ფხრიწით ეკვრება ამოქარგული გვარის მაჩვენებელი, მარცხენა მხარის კოკეტკის ქვემოთ ნაქარგი შევრონი. ჟილეტის წელის არეში ირგვლივ და უკანა კალთაზე კოკეტკის ქვემოთ ეკერება 5 სმ სიგანის მანათობელი ლენტი. ზურგის ზედა ნაწილში კოკეტკაზე ნაქარგი წარწერა AMBULANCE და შუა ნაწილში ნაქარგი წარწერა „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“. ზურგის ქვედა შუა ნაწილში დახრილად დამაგრებულია აპლიკაცია ნაქარგით განსხვავებული ფერის მანათობლის წვრილი ლენტები. გამოყენებული ქსოვილი _ Ripstop-. ბამბა 35%(±5%) პოლიესტერი 65%(±5%), 1მ 2 წონა - 220გრ. ± 15გრ, ;ქსოვილის მედეგობა რეცხვაზე და სინათლეზე არაკლებ 4.)	მწარმოებელი კომპანია შპს "ელსელემა"	წამოშობის ქვეყანა "საქართველო"	2559	33	84447

ჟილეტი (რეფერალი)	(შესრულებული ორი ფერის ქსოვილის კომბინაციით კოკეტკით, ელვა შესაკრავით, სამკუთხა ამოღებულობით. მარჯვენა კალთის შუა ნაწილში ორი სარქველიანი ზედნადები მოცულობითი ჯიბე შესაკრავი ფხრიწით. მარცხენა მხარეს შუა ნაწილში ერთი ცალი ზედნადები სარქველიანი მოცულობითი ჯიბე, შესაკრავი ფხრიწით. მარჯვენა და მარცხენა კალთის ქვედა ნაწილში გაჭრილი ჯიბე 12-16 სმ (ზომის მიხედვით) პლასტმასის ელვა შესაკრავით (ტრაქტორი #5), ამავე ჯიბეებზე დაკერებულია ორი ზედნადები მოცულობითი ჯიბე სარქველით შესაკრავით ფხრიწზე. მარცხენა კალთის ზედა ნაწილში ფხრიწით ეკვრება ამოქარგული გვარის მაჩვენებელი, მარცხენა მხარის კოკეტკის ქვემოთ ნაქარგი შევრონი. ჟილეტის წელის არეში ირგვლივ და უკანა კალთაზე კოკეტკის ქვემოთ ეკერება 5 სმ სიგანის მანათობელი ლენტი. ზურგის ზედა ნაწილში კოკეტკაზე ნაქარგი წარწერა AMBULANCE და შუა ნაწილში ნაქარგი წარწერა „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი". ზურგის ქვედა შუა ნაწილში დახრილად დამაგრებულია აპლიკაცია ნაქარგით განსხვავებული ფერის მანათობლის წვრილი ლენტები. გამოყენებული ქსოვილი _ Ripstop-. ბამბა 35% (±5%), პოლიესტერი 65%(±5%), 1მ 2 წონა- 220გრ. ± 15გრ ქსოვილის მედეგობა რეცხვაზე და სინათლეზე არაკლებ 4.)	მწარმოებელი კომპანია შპს "ელსელემა"	წამოშობის ქვეყანა "საქართველო"	251	33	8283
ჟილეტი (ადმინისტრაცია)	(შესრულებული ერთი ფერის ქსოვილის კომბინაციით კოკეტკით, ელვა შესაკრავით, სამკუთხა ამოღებულობით. მარჯვენა კალთის შუა ნაწილში ორი სარქველიანი ზედნადები მოცულობითი ჯიბე შესაკრავი ფხრიწით. მარცხენა მხარეს შუა ნაწილში ერთი ცალი ზედნადები სარქველიანი მოცულობითი ჯიბე, შესაკრავი ფხრიწით. მარჯვენა და მარცხენა კალთის ქვედა ნაწილში გაჭრილი ჯიბე 12-16 სმ (ზომის მიხედვით) პლასტმასის ელვა შესაკრავით (ტრაქტორი #5), ამავე ჯიბეებზე დაკერებულია ორი ზედნადები მოცულობითი ჯიბე სარქველით შესაკრავით ფხრიწზე. მარცხენა კალთის ზედა ნაწილში ფხრიწით ეკვრება ამოქარგული გვარის მაჩვენებელი, მარცხენა მხარის კოკეტკის ქვემოთ ნაქარგი შევრონი.ჟილეტის წელის არეში ირგვლივ და უკანა კალთაზე კოკეტკის ქვემოთ ეკერება 5 სმ სიგანის მანათობელი ლენტი. ზურგის ზედა ნაწილში კოკეტკაზე ნაქარგი წარწერა AMBULANCE და შუა ნაწილში ნაქარგი წარწერა „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი". ზურგის ქვედა შუა ნაწილში დახრილად დამაგრებულია აპლიკაცია ნაქარგით განსხვავებული ფერის მანათობლის წვრილი ლენტები. გამოყენებული ქსოვილი _ Ripstop-. ბამბა 35%(±5%), პოლიესტერი 65% (±5%),1მ 2 წონა- 220გრ. ± 15გრ ქსოვილის მედეგობა რეცხვაზე და სინათლეზე არაკლებ 4.)	მწარმოებელი კომპანია შპს "ელსელემა"	წამოშობის ქვეყანა "საქართველო"	80	33	2640

ზაფხულის შარვალი (სასწრაფო)	(სწორი სტილის, გვერდითი გაჭრილი ჯიბეებით, ჩაკერებული სათავით, რომლის სიგანეა 5 სმ (±0,5სმ), შარვლის სათავეზე დაკერებულია 5 ცალი კონტრიკი, თითოეული 3 სმ-ის სიგანის. სათავის უკანა ნაწილში მარჯვენა და მარცხენა მხარეს ჩაკერებული რეზინით. შარვლის უკანა ნაწილში მარჯვენა და მარცხენა მხარეს ორი ზედნადები ჯიბე, შესაკრავით ფხრიწზე. შარვლის წინა შუა ნაწილში მუხლის ზემოთ, მარჯვენა და მარცხენა მხარეს დაკერებულია სარქველიანი ზედნადები ჯიბე, რომელიც იკვრება ფხრიწით. შარვალი იკვრება 18 სმ პლასტმასის ელვით (სპირალი #5) და ერთი პლასტმასის ღილით. შარვლის ტოტების ქვედა ნაწილში დაკერებულია ერთმანეთისგან 2სმ-ით დაშორებული 5 სმ სიგანის მანათობელი ორ რიგად. შარვლის უკანა ნაწილის კოკეტკაზე დახრილად აპლიკაცია ნაქარგით დამაგრებულია განსხვავებული ფერის მანათობლის წვრილი ლენტები. გამოყენებული ქსოვილი _ Ripstop-. ბამბა 35% (±5%), პოლიესტერი 65% (±5%), 1მ 2 წონა- 220გრ. ± 15 გრ. ქსოვილის მედეგობა რეცხვაზე და სინათლეზე არაკლებ 4.)	მწარმოებელი კომპანია შპს "ელსელემა"	წამოშობის ქვეყანა "საქართველო"	2559	21,9	56042,1
ზაფხულის შარვალი (რეფერალი)	(სწორი სტილის, გვერდითი გაჭრილი ჯიბეებით, ჩაკერებული სათავით, რომლის სიგანეა 5 სმ (±0,5სმ), შარვლის სათავეზე დაკერებულია 5 ცალი კონტრიკი, თითოეული 3 სმ-ის სიგანის. სათავის უკანა ნაწილში მარჯვენა და მარცხენა მხარეს ჩაკერებული რეზინით. შარვლის უკანა ნაწილში მარჯვენა და მარცხენა მხარეს ორი ზედნადები ჯიბე, შესაკრავით ფხრიწზე. შარვლის წინა შუა ნაწილში მუხლის ზემოთ, მარჯვენა და მარცხენა მხარეს დაკერებულია სარქველიანი ზედნადები ჯიბე, რომელიც იკვრება ფხრიწით. შარვალი იკვრება 18 სმ პლასტმასის ელვით (სპირალი #5) და ერთი პლასტმასის ღილით. შარვლის ტოტების ქვედა ნაწილში დაკერებულია ერთმანეთისგან 2 სმ-ით დაშორებული 5 სმ სიგანის მანათობელი ორ რიგად შარვლის უკანა ნაწილის კოკეტკაზე დახრილად აპლიკაცია ნაქარგით დამაგრებულია განსხვავებული ფერის მანათობლის წვრილი ლენტები. გამოყენებული ქსოვილი _ Ripstop-. ბამბა 35% (±5%), პოლიესტერი 65% (±5%), 1მ 2 წონა- 220გრ. ± 15გრ ქსოვილის მედეგობა რეცხვაზე და სინათლეზე არაკლებ 4.)	მწარმოებელი კომპანია შპს "ელსელემა"	წამოშობის ქვეყანა "საქართველო"	251	21,9	5496,9
ზაფხულის შარვალი (ადმინისტრაცია)	(სწორი სტილის, გვერდითი გაჭრილი ჯიბეებით, ჩაკერებული სათავით, რომლის სიგანეა 5 სმ (±0,5სმ), შარვლის სათავეზე დაკერებულია 5 ცალი კონტრიკი, თითოეული 3 სმ-ის სიგანის. სათავის უკანა ნაწილში მარჯვენა და მარცხენა მხარეს ჩაკერებული რეზინით. შარვლის უკანა ნაწილში მარჯვენა და მარცხენა მხარეს ორი ზედნადები ჯიბე, შესაკრავით ფხრიწზე. შარვლის წინა შუა ნაწილში მუხლის ზემოთ, მარჯვენა და მარცხენა მხარეს დაკერებულია სარქველიანი ზედნადები ჯიბე, რომელიც იკვრება ფხრიწით. შარვალი იკვრება 18 სმ პლასტმასის ელვით (სპირალი #5) და ერთი პლასტმასის ღილით. შარვლის უკანა ნაწილის კოკეტკაზე დახრილად აპლიკაცია ნაქარგით დამაგრებულია განსხვავებული ფერის მანათობლის წვრილი ლენტები. გამოყენებული ქსოვილი _ Ripstop-. ბამბა 35% (±5%), პოლიესტერი 65% (±5%), 1მ 2 წონა- 220გრ. ± 15გრ ქსოვილის მედეგობა რეცხვაზე და სინათლეზე არაკლებ 4.)	მწარმოებელი კომპანია შპს "ელსელემა"	წამოშობის ქვეყანა "საქართველო"	80	21,9	1752

მაისური ზაფხულის	(პოლოს ტიპის, მოკლე ჩაკერებული სახელოთი, გადაფენილი თეთრი ფერის ქსოვილის საყელოთი, შესაკრავით სამ ღილზე, მაისური შესრულებული ორი ფერის კომბინაციით. მარცხენა კალთის ზედა ნაწილში ნაქარგი შევრონით და წარწერით „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“ გამოყენებული მასალა - საზედაპირე ტრიკოტაჟის ქსოვილი 50% ბამბა და 50% პოლიესტერი ±5%, 1მ 2 წონა - არანაკლებ 170 გრ. ქსოვილის მედეგობა რეცხვაზე და სინათლეზე არაკლებ 4. საყელოს ქსოვილი - 50% ბამბა და 50% პოლიესტერი ±5%	მწარმოებელი კომპანია შპს "ელსელემა"	წამოშობის ქვეყანა "საქართველო"	2890	13	37570
მაისური ზამთრის	(გრძელმკლავიანი, მრგვალყელიანი, შესრულებული ქსოვილის ორი ფერის კომბინაციით, სახელოები ჩაკერებული. წინა კალთის ბმარცხენა ზედა ნაწილში ნაქარგი შევრონით და წარწერით „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“. უკანა კალთის ზედა ნაწილში წარწერა „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“. უკანა კალთის ქვედა ნაწილში აპლიკაცია ნაქარგით დახრილად დამაგრებულია განსხვავებული ფერის მანათობლის წვრილი ლუნტები. გამოყენებული მასალა: ბაიკა (ბამბა არანაკლებ 30%), 1მ 2 წონა - არანაკლებ 250გრ. ქსოვილის მედეგობა რეცხვაზე და სინათლეზე არაკლებ 4.)	მწარმოებელი კომპანია შპს "ელსელემა"	წამოშობის ქვეყანა "საქართველო"	2890	17,5	50575

535806

შპს "ელსელემა"
გენ.დირექტორი
ე. მამასახლისი

№2100208

"22" 12 2017

საბანკო გარანტია #5934-12/17

გარანტი:	სს "ბანკი ქართუ" (ს/კ 204891652)
ბენეფიციარი:	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო" (ს/კ 202178927)
პრინციპალი:	შპს "ელსელემა" (ს/კ 204438073)
თანხა და ვალუტა:	10,716.12 (ათი ათას შვიდასთექვსმეტი და 12/100) ლარი

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ პრინციპალმა მონაწილეობა მიიღო ბენეფიციარის მიერ „სამუშაო ტანსაცმლის, სპეცტანსაცმლის და აქსესუარების შესყიდვის" მიზნით 2017 წლის 29 ნოემბერს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში აუქციონის გარეშე (NAT170013564) და გამოვლინდა გამარჯვებულად. თანახმად ბენეფიციარის 2017 წლის 19 დეკემბრის წერილისა #01/77846, პრინციპალთან ხელშეკრულების გასაფორმებლად, პრინციპალის სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ბენეფიციარისათვის წარსადგენია საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 2% ოდენობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და პრინციპალის თხოვნით, ჩვენ, ს.ს. „ბანკი ქართუ" (შემდგომში „გარანტი"), ვკისრულობთ უპირობო და გამოუთხოვად ვალდებულებას ყოველგვარი დაგვიანების გარეშე, ბენეფიციარის საგადახდო მოთხოვნის მიღების თარიღიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, გადავიხადოთ ნებისმიერი თანხა ან თანხები, რომელიც (რომლებიც) ჯამში არ აღემატება 10,716.12 (ათი ათას შვიდასთექვსმეტი და 12/100) ლარს.

მოთხოვნა ანაზღაურებაზე ბენეფიციარის მიერ წარდგენილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული წერილობითი ფორმით, მოთხოვნილი თანხის (სიტყვიერად და ციფრობრივად) და ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტების მითითებით, სადაც აღწერილი იქნება პრინციპალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების ფაქტი ან ფაქტები. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს წინამდებარე საბანკო გარანტიის ასლი და მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

წინამდებარე საბანკო გარანტია ძალაშია 2018 წლის 01 ოქტომბრის ჩათვლით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბენეფიციარის საგადახდო მოთხოვნის ორიგინალი წარდგენილი უნდა იქნეს გარანტიის ვადის გასვლამდე სს „ბანკი ქართუს" სათავო ოფისში მისამართზე: 0162 ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზირი #39ა, კანცელარიაში, სამუშაო საათებში (10:00 - 17:30).

საბანკო გარანტიის თანხა ავტომატურად შემცირდება გარანტის მიერ ბენეფიციარის საგადახდო მოთხოვნის საფუძველზე გადახდილი თანხების ოდენობით.

წინამდებარე საბანკო გარანტია ავტომატურად გაუქმდება: ა) ბენეფიციარის მიერ თავის უფლებებზე წერილობითი უარის წარმოდგენისა და/ან გარანტიის ორიგინალის დაბრუნებით გარანტისათვის; ბ) ამ საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.

ბენეფიციარის მოთხოვნის უფლების გადაცემა მესამე პირზე შესაძლებელია მხოლოდ გარანტის თანხმობით.

საბანკო გარანტიის გარშემო წარმოქმნილი ნებისმიერი დავის გადაჭრა მოხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

ზურაბ გოგუა

კომერციული დირექტორი

CARTU BANK 204891652

№2/00214

"27" 12 2017

საბანკო გარანტია #5947-12/17

გარანტი: სს „ბანკი ქართუ" (ს/კ 204891652)

ბენეფიციარი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო" (ს/კ 202178927)

პრინციპალი: შპს „ელსელემა" (ს/კ 204438073)

თანხა: 535,806.00 (ხუთასოცდათხუთმეტი ათას რვაასექვსი და 00/100) ლარი

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ 2017 წლის 25 დეკემბერს ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება #პ/3504/43 - სპეციალიზებული ფორმების შესყიდვაზე (შემდგომში „ხელშეკრულება"). ხელშეკრულების პირობების თანახმად, ბენეფიციარი ავანსის სახით ჩაურიცხავს პრინციპალს ხელშეკრულების ღირებულების მთლიან თანხას, თუ წარდგენილი იქნება საბანკო გარანტია ავანსად გადახდილი თანხის დაბრუნებაზე პრინციპალის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში. წინამდებარე საბანკო გარანტია უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების სათანადო შესრულებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და პრინციპალის თხოვნით, ჩვენ, ს.ს. „ბანკი ქართუ" (შემდგომში „გარანტი"), ვკისრულობთ უპირობო და გამოუთხოვად ვალდებულებას ყოველგვარი დაგვიანების გარეშე, ბენეფიციარის საგადახდო მოთხოვნის მიღების თარიღიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, გადავიხადოთ ნებისმიერი თანხა ან თანხები რომელიც (რომლებიც) ჯამში არ აღემატება ავანსად ჩარიცხული თანხის ოდენობას. გარანტის ვალდებულების ზღვარი არ აღემატება

535,806.00 (ხუთასოცდათხუთმეტი ათას რვაასექვსი და 00/100) ლარს.

მოთხოვნა ანაზღაურებაზე ბენეფიციარის მიერ წარდგენილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული წერილობითი ფორმით, მოთხოვნილი თანხის (სიტყვიერად და ციფრობრივად) და ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტების მითითებით, სადაც აღწერილი იქნება პრინციპალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების ფაქტი ან ფაქტები. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს წინამდებარე საბანკო გარანტიის ასლი და მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

წინამდებარე საბანკო გარანტია ძალაშია 2018 წლის 01 ოქტომბრის ჩათვლით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბენეფიციარის საგადახდო მოთხოვნის ორიგინალი წარდგენილი უნდა იქნეს გარანტიის ვადის გასვლამდე სს „ბანკი ქართუს" სათავო ოფისში მისამართზე: 0162 ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზირი #39ა, კანცელარიაში, სამუშაო საათებში (10:00 - 17:30).

წინამდებარე საბანკო გარანტია ძალაში შედის საავანსო თანხის ჩარიცხვის მომენტიდან პრინციპალის მიმდინარე ანგარიშზე #GE91CR0030086127583606 სს „ბანკ ქართუში".

საბანკო გარანტიის თანხა ავტომატურად შემცირდება გარანტის მიერ ბენეფიციარის საგადახდო მოთხოვნის საფუძველ'ზე გადახდილი თანხების ოდენობით.

წინამდებარე საბანკო გარანტია ავტომატურად გაუქმდება: ა) ბენეფიციარის მიერ თავის უფლებებზე წერილობითი უარის წარმოდგენისა და/ან გარანტიის ორიგინალის დაბრუნებით გარანტისათვის; ბ) ამ საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.

ბენეფიციარის მოთხოვნის უფლების გადაცემა მესამე პირზე შესაძლებელია მხოლოდ გარანტის თანხმობით.

საბანკო გარანტიის გარშემო წარმოქმნილი ნებისმიერი დავის გადაჭრა მოხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

ზურაბ გოგუა

კომერციული დირექტორი